

სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

I. სასამართლო რეფორმის მიზნები და ამოცანები

საქართველომ 2022 წლის 3 მარტს წარადგინა ევროკავშირში გაწევრების განაცხადი.¹ ამ განაცხადთან დაკავშირებით 2022 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა ევროკომისიის დასკვნა,² რომლითაც ევროკომისიამ გასცა ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივის საქართველოსთვის მინიჭების რეკომენდაცია; ამასთანავე, ევროკომისიამ იმავე დასკვნით განსაზღვრა 12 პუნქტისაგან შემდგარი გარკვეული პრიორიტეტული ამოცანები და მიუთითა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საჭიროა საქართველოს მიერ ამ ამოცანების შესრულება.

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება,³ სადაც აღინიშნა, რომ ევროპული საბჭო აღიარებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივას, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველო შეასრულებს ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით განსაზღვრულ პრიორიტეტულ ამოცანებს, ევროპული საბჭო მზად არის, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს.

აღნიშნული პრიორიტეტული ამოცანების შესრულების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ მყისიერად შეიმუშავა დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმა, საქართველოს პარლამენტში კი შეიქმნა მთელი რიგი სამუშაო ჯგუფები. ამ სამუშაო ჯგუფებიდან რამდენიმე შექმნა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა,⁴ რომელთაგან ერთ-ერთის მიზანია სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება/„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადება.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო სისტემის ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში შემდგომი განვითარება გათვალისწინებულია „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითაც“ (შემდგომ – ასოცირების შეთანხმება), რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და რომლის რატიფიცირება საქართველომ 2014 წლის 18 ივლისს განახორციელა; კერძოდ, ასოცირების შეთანხმებაში მითითებულია, რომ მხარეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობისა და ეფექტიანობის გასამყარებლად, მათ შორის, სასამართლო

¹ <https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/>

² https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en

³ <https://www.consilium.europa.eu/media/57442/2022-06-2324-euco-conclusions-en.pdf>

⁴ <https://parliament.ge/parliament/committees/50928/documents>

რეფორმის კუთხით პროგრესის გასაუმჯობესებლად.⁵ ამავე საკითხზე ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგში.⁶

ამრიგად, სასამართლო რეფორმის განხორციელების მიზანი და ამოცანა არის, ერთი მხრივ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის შემდგომი დახვეწა და ინსტიტუციური გაუმჯობესება და, მეორე მხრივ, ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით განსაზღვრული პრიორიტეტული ამოცანებიდან ერთ-ერთი მათგანის შესრულება, რაც საბოლოოდ საქართველოს ევროკავშირში გაწევრების უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევას ემსახურება.

II. საქართველოს საერთო სასამართლოები სისტემის არსებული მდგომარეობის ზოგადი ანალიზი

სასამართლო რეფორმის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში დღემდე გატარებული მასშტაბური რეფორმები და ამჟამად არსებული მდგომარეობა, რათა უკეთ დაიგეგმოს რეფორმის შემდგომი ნაბიჯები.

2013-2021 წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის „ოთხი ტალღის“ შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს საერთო სასამართლოების ინსტიტუციურ მოწყობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი. აღნიშნული „ოთხი ტალღის“ რეფორმა დაიწყო 2013 წლის 1 მაისის საკანონმდებლო

⁵ იხ. ასოცირების შეთანხმების მე-4 და მე-13 მუხლები.

⁶

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-EN.pdf.aspx>

<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-KA.pdf.aspx>

ცვლილებებით და დასრულდა 2019 წლის 13 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საერთო სასამართლოების სისტემის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად 2013 წლიდან დღემდე გატარებული რეფორმები მხოლოდ „ოთხი ტალღის“ ფარგლებში გატარებულ რეფორმებს არ მოიცავს, არამედ ისინი ბევრად სცილდება სასამართლო რეფორმის „ოთხი ტალღის“ არეალს და ითვალისწინებს მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების გამჭვირვალე და მრავალეტაპიანი პროცედურის შექმნას.

სასამართლო რეფორმის „ოთხი ტალღის“ შედეგად ძირეულად და კომპლექსურად გაუმჯობესდა საერთო სასამართლოების სისტემასთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი საკითხები:⁷

1. განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი და პირობები. საკანონმდებლო ცვლილება ემსახურებოდა ასამოქმედებელი კონსტიტუციური ცვლილებით დადგენილი, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების პრინციპის „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ასახვას. გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციით გაზრდილი, მოსამართლისთვის საჭირო მინიმალური ასაკი და გაფართოვდა მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ დადგენილი მოთხოვნები; კერძოდ, მოსამართლის თანამდებობაზე გასამწესებლად საჭირო მინიმალური ასაკი 28 წლიდან 30 წლამდე გაიზარდა, ხოლო მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ დადგენილი უმაღლესი იურიდიული განათლების ქონის მოთხოვნა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის უმაღლესი იურიდიული განათლების ქონის მოთხოვნით შეიცვალა.
2. ჩამოყალიბდა რაიონული (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესების კომპლექსური წესები, რამაც აამძღა ამ პროცესის სტანდარტი და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი მიუკერძოებლად, კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ წარმართვის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ კანონით პირველად განისაზღვრა მოსამართლის კეთილსინდისიერებისა

⁷ იხ. „ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუციური განვითარება 2013-2021 წლებში“, გვ. 177-182 (ანალიტიკური დოკუმენტი „ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუციური განვითარება 2013-2021 წლებში“ მოამზადა საპარლამენტო ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის საგაზაფხულო სესიის დასაწყისში საპარლამენტო ფრაქციებს შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში; კერძოდ, პარლამენტის 2022 წლის საგაზაფხულო სესიის დასაწყისში საპარლამენტო უმრავლესობასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მართლმსაჯულების რეფორმის მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად საჭირო იყო, საპარლამენტო ფრაქციებს მოემზადებინათ ანალიტიკური დოკუმენტები, რომლებიც ამ რეფორმის განხორციელების ძირითადი საფუძველი გახდებოდა. შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“, თავის მხრივ, შეასრულა შეთანხმებით განსაზღვრული პირობა, მოამზადა აღნიშნული დოკუმენტი და იგი საპარლამენტო ოპოზიციას გაუზიარა):

https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samushao_jgufebi/oqmebi/kartuli-martlmsajuleba-2013-2021.pdf

და კომპეტენტურობის მიხედვით შეფასების კრიტერიუმები, ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უზრუნველსაყოფად უზენაეს სასამართლოში შეიქმნა საკვალიფიკაციო პალატა.

3. ჩამოყალიბდა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის წესით დანიშვნის კომპლექსური პროცედურები, რამაც აამაღლა ამ პროცესის სტანდარტი და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მისი მიუკერძოებლად, კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ წარმართვის ხარისხი.
4. დაინერგა მოსამართლეთა შორის საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპი, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთო სასამართლოების სისტემის განვითარებასა და მართლმსაჯულების ხარისხი გაზრდას.
5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაევალა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობებზე დანიშვნამდე გამართოს კონსულტაციები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან.
6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაევალა, დაასაბუთოს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებები.
7. გაჩნდა ვალდებულება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ კენჭისყრის ჩატარების შემდეგ გამოქვეყნდეს დასაბუთება. დასაბუთება უნდა შეიცავდეს პროცედურის აღწერას და დანიშნული მოსამართლის დახასიათებას, მათ შორის, მის მიერ დაგროვებულ ქულებს და დასკვნას მისი კეთილსინდისიერების თაობაზე. დასაბუთებას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია დაწეროს განსხვავებული აზრი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს.
8. გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი, გაუმჯობესდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ცალკეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ანგარიშვალდებულებასა და მისი საქმიანობის საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები.
9. დაიხვეწა და ახლებურად მოწესრიგდა მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მათგან ერთ-ერთი არსებითი საკითხი კი იყო მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი

გამოკვლევისა და წინასწარი შემოწმების ჩატარების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნა, რომელსაც ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი ინსპექტორი.

10. მოსამართლის დამოუკიდებლობის გაზრდის, მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრების და ამ პროცესში სუბიექტურობის გამორიცხვის მიზნით, მოსამართლის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ბანგალორის პრინციპების გათვალისწინებით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში დადგინდა დასაბუთებული ვარაუდისა და ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტი; დაიხვეწა და გაუმჯობესდა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური გადაცდომის სახეები; დაიხვეწა და გაუმჯობესდა დისციპლინურ სახდელებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.
11. გაიზარდა სასამართლო სხდომის გამჭვირვალობა და დაიხვეწა სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების წესები; კანონში მიეთითა ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება.
12. ძირეულად შეიცვალა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების წესი და პირობები, ახლებურად მოწესრიგდა და გაუმჯობესდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯაროობის სტანდარტის გაზრდასთან, ინტერესთა შეუთავსებლობასთან, ანგარიშვალდებულებასთან, საბჭოს სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.
13. არსებითად შეიცვალა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობის დაკომპლექტების წესი და პირობები.
14. ახლებურად მოწესრიგდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.
15. არსებითად შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების წესი და პირობები.
16. გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა და იუსტიციის მსმენელის ინფორმირებულობა; დაზუსტდა იუსტიციის მსმენელის სტატუსის განმარტება; კანონით ცალკე მოწესრიგდა იუსტიციის მსმენელის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ურთიერთობები; დაზუსტდა და დაიხვეწა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლასა და სკოლის

საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების შედგენისა და გაცემის საკითხები; გაფართოვდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ფორმები.

17. ძალადაკარგულად გამოცხადდა „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონი და იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტში – „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში – აისახა; იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების წესი და დაზუსტდა დამოუკიდებელი საბჭოს ცალკეული ფუნქციები; დაიხვეწა და გაუმჯობესდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიღებისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის მასშტაბური რეფორმა, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების გამჭვირვალე და კომპლექსური პროცედურის შექმნას ემსახურებოდა;⁸ კერძოდ, 2019 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები⁹ შეიტანა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და ძირეულად შეცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცესი. 2019 წლის 1 მაისამდე არსებული საკანონმდებლო ნორმების თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენდა ყოველგვარი სპეციალური შერჩევის წესის გარეშე, ხოლო 2018 წლის 16 დეკემბრამდე (ვიდრე 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციური ცვლილებები ამოქმედდებოდა) პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს ასარჩევად წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტი, ასევე ყოველგვარი სპეციალური შერჩევის წესის გარეშე.¹⁰ ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უზენაესი სასამართლოს

⁸ „ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუციური განვითარება 2013-2021 წლებში“, გვ. 60-84: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samushao_jgufebi/oqmebi/kartuli-martlmsajuleba-2013-2021.pdf

⁹ იხ. 2019 წლის 1 მაისის ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში:

<https://info.parliament.ge/#law-drafting/17447>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4550937?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4550213?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4550930?publication=0>

¹⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2019 წლის 1 მაისის საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია მოკლედ აღწერდა იმ პირობას, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს უნდა დაეკმაყოფილებინა; კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენდა მხოლოდ შემდეგს: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე უზენაესი

მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის უფლებამოსილების საქართველოს პრეზიდენტისგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემას (რაც 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებების ფარგლებში განხორციელდა) საქართველოს ურჩევდა ვენეციის კომისიაც 2010 წელს.¹¹

2019 წლის 1 მაისს ცვლილება შევიდა ასევე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და მნიშვნელოვნად დაიხვეწა პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის წესი, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საჯარო სხდომაზე მოსმენის ნაწილში. შედეგად, შესაძლებელი გახდა ამ პროცესზე საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელება.¹²

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების წესებმა 2019 წლის 1 მაისის შემდეგაც განიცადა ცვლილებები, კერძოდ, 2020 წლის 30

სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანდიდატურა, რომლის პროფესიული გამოცდილება უნდა შეეფერებოდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. ამ გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.“ ეს საკითხი მსგავსად წესრიგდებოდა საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბერს შეტანილ ცვლილებათა ამოქმედებამდე, – იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებამდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა მინიჭებული (იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2019 წლის 1 მაისის საკანონმდებლო ცვლილებამდე და 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებამდე მოქმედი რედაქციის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი):

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=33>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=28>

¹¹ იხ. ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრის N543/2009 დასკვნა (CDL-AD(2010)028), 87-ე პუნქტი. თუმცა 2017 წელს ვენეციის კომისიამ თავისი ეს მიდგომა შეცვალა, კერძოდ, მისი შეცვლილი რეკომენდაციის თანახმად, უზენაესი სასამართლოს წევრები პარლამენტის მონაწილეობის გარეშე უნდა აირჩიოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით დანიშნოს საქართველოს პრეზიდენტმა (იხ. ვენეციის კომისიის 2017 წლის 19 ივნისის N876/2017 დასკვნა (CDL-AD(2017)013), მე-80, 81-ე და 98-ე პუნქტები, 2017 წლის 9 ოქტომბრის N876/2017 დასკვნა (CDL-AD(2017)023), 45-ე და 57 პუნქტები და 2018 წლის 19 მარტის N918/2018 დასკვნა (CDL-AD(2018)005), მე-15, 37-ე და 48-ე პუნქტები):

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2010\)028-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2010)028-e)

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2010\)028-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2010)028-geo)

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2017\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2017)013-e)

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2017\)023-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2017)023-e)

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2018\)005-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2018)005-e)

¹² „ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუციური განვითარება 2013-2021 წლებში“, გვ. 75-77:

https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samushao_jgufebi/oqmebi/kartuli-martlmsajuleba-2013-2021.pdf

სექტემბერს¹³ და 2021 წლის 1 აპრილს¹⁴, რაც ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის¹⁵ და 2020 წლის 8 ოქტომბრის¹⁶ რეკომენდაციების იმპლემენტაციით იყო განპირობებული.

ამრიგად, დღესდღეობით მოქმედებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების საჯაროობის, ღიაობის, გამჭვირვალობისა და ფართო მონაწილეობის უმაღლესი სტანდარტის ხანგრძლივი პროცედურა.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მნიშვნელოვნად განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სათანადო გარანტიები, რომელთა ნაწილი 2017-2018 წლებში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებით იქნა წარმოდგენილი ქვეყნის ძირითად კანონში; მაგალითად, საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი, 61-ე მუხლი და 63-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ითვალისწინებს შემდეგ კონსტიტუციურ მოწესრიგებას:

- საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.
- 2024 წლის 31 დეკემბრამდე პირველად განწესების შემთხვევაში უვადოდ განწესებამდე მოსამართლე თანამდებობაზე შეიძლება განწესდეს 3 წლის

¹³ იხ. 2020 წლის 30 სექტემბრის (N7205-1b) ცვლილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში:

<https://info.parliament.ge/#law-drafting/20825>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003532?publication=0>

¹⁴ იხ. 2021 წლის 1 აპრილის ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში:

<https://info.parliament.ge/#law-drafting/21840>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5140642?publication=0>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5140633?publication=0>

¹⁵ იხ. ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის N949/2019 დასკვნა (CDL-AD(2019)009):

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)009-e)

¹⁶ იხ. ვენეციის კომისიის 2020 წლის 8 ოქტომბრის N1001/2020 დასკვნა (CDL-AD(2020)021):

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2020\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2020)021-e)

ვადით. განსაზღვრული ვადით განწესებულ მოსამართლეზე მოსამართლის უვადოდ განწესების დათქმა ვრცელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით მისი უვადოდ განწესების შემთხვევაში.

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების წესი ეფუძნება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების მოდელს, რომელიც, ზემოთ როგორც აღინიშნა, წარმართება ღია, გამჭვირვალე, საჯარო, ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი პროცედურით, ორი კონსტიტუციური ორგანოს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პარლამენტის) მონაწილეობით.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ პარლამენტმა ზემოაღნიშნულ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძველით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.
- საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელია გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი უზრუნველყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის ძირითად პრინციპებსა და გარანტიებს; კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:

- მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია

და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

- მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
- სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.
- მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.
- საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელია გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპები და გარანტიები განმტკიცებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლი ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც კონსტიტუციური ორგანოს, შექმნის სამართლებრივ საფუძველს და აწესრიგებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს; კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:

- საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან

საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მებუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო მის მიერ არჩეულ წევრთაგან.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. ანგარიშგების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

აღნიშნული კონსტიტუციური საკითხების მომწესრიგებელი დაწვრილებითი წესები დადგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. გასათვალისწინებელია, რომ ეს წესები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებული კონსტიტუციური მოდელი დადებითად შეაფასა, განსაკუთრებით მოიწონა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისად მიიჩნია ვენეციის კომისიამ.¹⁷

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დასაცავად, საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად და სასამართლოს საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად 2013-2021 წლებში განხორციელდა ფართომასშტაბიანი რეფორმები, რაც ფაქტობრივი გარემოებებითა და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების შეფასებებით¹⁸ ნათლად დასტურდება.

აღსანიშნავია USAID-ის მხარდაჭერით 2021 წლის 31 ოქტომბრის კვლევა „ბიზნესის შეხედულებები საქართველოში სასამართლო სისტემის შესახებ“, რომლის თანახმადაც, „ბიზნესების კვლევამ აჩვენა, რომ, საერთო ჯამში, ბიზნესებს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ სასამართლო სისტემის მიმართ. მათი დიდი

¹⁷ იხ. ვენეციის კომისიის 2018 წლის 17 დეკემბრის N937/2018 დასკვნა (CDL-AD(2018)029), 44-ე, 47-ე, 48-ე და 53-ე პუნქტები:

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2018)029-e)

¹⁸ იხ.

<https://1tv.ge/news/karl-harceli-saqartvelos-istoriashi-mosamartleebis-sherchevis-processhi-arasdros-yofila-aseti-gamchvirvaloba-rac-dzalian-kargia>

<https://ge.usembassy.gov/ka/statement-on-the-fourth-wave-of-judicial-reform-june-13-ka>

<https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/the-statement-of-the-head-of-the-council-of-europe-office-in-georgia>

ნაწილი (43%) სასამართლოს მუშაობას საშუალოდ აფასებს; უფრო მეტი წილი აფასებს დადებითად, ვიდრე უარყოფითად.¹⁹

აღსანიშნავია ასევე USAID-ის მხარდაჭერით 2021 წლის ივლისის კვლევა „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში: იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ხედვა“, რომელშიც, მაგალითად, ხაზგასმულია, რომ „2021 წელს, კვლევის წინა ტალღებთან მეტ-ნაკლები მსგავსებით, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების აზრით, მხარეთა თანასწორობის პრინციპი უმეტესად დაცულია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში. მათი თქმით, უმრავლეს შემთხვევაში მხარეთა თანასწორობა კანონმდებლობითაცაა უზრუნველყოფილი და პრაქტიკაშიც ხორციელდება.“²⁰

თვალსაჩინოა ქართულ სასამართლო სისტემის საერთაშორისო აღიარებაც, რაც შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგებით დასტურდება. სასამართლო სისტემის ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია საქართველოს სასამართლოთა მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენებისა და სასამართლოს წინაშე დაყენებულ შუამდგომლობათა დაკმაყოფილების რაოდენობის მაჩვენებელი.²¹

ქართული მართლმსაჯულების მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობის თვალსაჩინო ინდიკატორია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ საჩივართა რაოდენობის მკვეთრი კლება და მათი ამჟამინდელი დაბალი მაჩვენებელი.²² ამასთანავე, გასათვალისწინებელია,

¹⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.:

http://ewmi-prolog.org/images/files/9464PROLoGBusiness_Report_GEO.pdf, გვ. 2.

²⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.:

http://ewmi-prolog.org/images/files/2927CRRC-PROLoG_StudyofLegalProfessionalsReport_25Oct2021_GEO.pdf, გვ. 2 და მომდევნო გვერდები.

²¹ აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით იხ.:

<http://hcoj.gov.ge/files/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20-%202017-2019.pdf>

<http://hcoj.gov.ge/files/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202013-2017.pdf>

²² აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით იხ.:

https://www.echr.coe.int/sites/search_eng/pages/search.aspx#%7B%22sort%22:%5B%22createdAsDate%20Descending%22%5D,%22Title%22:%5B%22%20analysis%20of%20statistics%22%22%5D,%22contentlanguage%22:%5B%22ENG%22%5D%7D

<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=court/annualreports&c>

<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-216681>

რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ განსაკუთრებით გახმაურებულ საქმეზე, კერძოდ, „რუსთავი 2“-ის საქმეზე, არ დაადგინა კონვენციის დარღვევა.²³

III. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის არსებული ინსტიტუციური გამოწვევები და სამომავლო სარეფორმო საკითხები

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, აუცილებელია გაგრძელდეს ქართული მართლმსაჯულების შემდგომ განვითარებაზე მუშაობა, ვინაიდან მაინც რჩება გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრების გზაზე მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას. მაგალითად, გამოსაყოფია ისეთი გამოწვევები, როგორებიც არის:

1. მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა, დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების გონივრულ ვადაში შესასრულებლად და საქმიანობის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად.
2. სასამართლოში საქმეთა ნაკადის შემცირება და სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება, რისთვისაც აუცილებელია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების სათანადო განვითარება და ხელშეწყობა, როგორც არბიტრაჟის, ისე მედიაციის მიმართულებით.
3. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება და მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა პროფესიული განვითარების კიდევ უფრო ხელშეწყობა.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომების დანერგვის მექანიზმების გაუმჯობესება.
5. მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერება.
6. მართლმსაჯულების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების კიდევ უფრო განვითარება.
7. საზოგადოების ინფორმირებულობისა და მასთან კომუნიკაციის გაზრდის გზით სასამართლოს მიმართ ნდობის კიდევ უფრო გაძლიერება, სასამართლოს დისკრედიტაციისკენ მიმართული დეზინფორმაციის თავიდან აცილების მექანიზმების გაუმჯობესება.

²³ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადის N16812/17, მათ შორის, 347-ე, 350-ე, 351-ე, 357-ე, 364-ე პუნქტები:
<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-194445>

8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შემდგომი გაძლიერება.
9. სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ელექტრონული საშუალებების გამოყენების პრაქტიკის გაფართოება.
10. მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი სერვისების დანერგვა.
11. შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა, აგრეთვე ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სათანადო გარემოს შექმნა.
12. თარჯიმნის სერვისის გაუმჯობესება, რათა სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ჯეროვნად იქნეს უზრუნველყოფილი.
13. იუსტიციის უმაღლესი სკოლის გაძლიერება, რათა მან ჯეროვნად შეძლოს სათანადო რაოდენობის იუსტიციის მსმენელთა მომზადება, რაც აუცილებელია 2025 წლის 1 იანვრიდან მოსამართლეთა თანამდებობაზე უვალოდ განწესების პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის.
14. მიზანშეწონილია, საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი ნორმების გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვროს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა არჩევის პროცედურაში საბჭოს წევრობის კანდიდატის კომიტეტის საჯარო სხდომაზე მოსმენის ვალდებულება.
15. მიზანშეწონილია, საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი ნორმების გათვალისწინებით უფრო დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა არჩევის წესთან დაკავშირებული ცალკეული საკითხებიც; კერძოდ, მიზანშეწონილია, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის არჩევის პროცესში საბჭოს წევრობის კანდიდატს მიეცეს მოსამართლეთა კონფერენციისთვის თავისი ხედვების წარდგენის შესაძლებლობა.
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის გადაწყვეტილებით²⁴ არაკონსტიტუციურად ცნო გარკვეული საკანონმდებლო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სათანადო

²⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268>

საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში ასახულ მიდგომებთან კანონის შესაბამისობას განაპირობებს.

დასასრულ, გასათვალისწინებელია, რომ მართლმსაჯულების სფეროში სამომავლოდ განსახორციელებელი ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილების მიზანი უნდა იყოს არა მართლმსაჯულების დაბრკოლება და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების შეფერხება, არამედ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების შეუფერხებლად დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლო სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და რეპუტაციული ზიანისაგან სასამართლოს დაცვა. ამიტომ სხვადასხვა ფორმატში დღემდე გაჟღერებული ისეთი შემოთავაზებები, განსაკუთრებით ცალკეული პოლიტიკური პარტიების მხრიდან, როგორებიც არის, მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის გაზრდა (ე. წ. ორმაგი 2/3) და სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩვის წესის შეცვლა (სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევა ე. წ. საარჩევნო კამპანიის წარმოების გზით), არის საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო, არ ეფუძნება დამკვიდრებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და საბოლოოდ მართლმსაჯულების შეფერხებასა და სასამართლოში მისთვის შეუფერხებელი პოლიტიკური პროცესების გაღვივებას გამოიწვევს.